**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს**
**გენერალური დირექტორი**

KA990197811359918

**№02/61** **22 / ოქტომბერი / 2018 წ.**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

1.მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2.დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3.დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

4.ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.№52) .

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი — დავით ლომიტაშვილი

**2018 წლის 22 ოქტომბრის**
**N02/61 ბრძანების**
**დანართი**

| № | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | ბუბის ჯვარი | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შოვი<br><br>X 393197.<br>Y 4729761. Z 2054 | არქიტექტურის / არქეოლოგიური | შუა საუკუნეები |
| 2. | | ხანდისის ეკლესია | გორის მუნიციპალიტეტი, ნასოფლარი ხანდისი<br>GPS კოორდ:<br>N 41° 51.409'<br>E 044° 03.678' | არქიტექტურის | IX-X ს-ის დასაწყისი |
| 3. | | კვირიას სახელობის ეკლესია | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაკათხევი<br>GPS კოორდ:<br>42.449697° 44.582742°) | არქიტექტურის | გვიანი შუა საუკუნეები |
| 4. | | არახვეთის ნამოსახლარი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. არახვეთი<br>GPS კოორდ:<br>(42.420835° 44.539122°<br>42.421275° 44.539962°<br>42.422439° 44.539662°<br>42.421682° 44.538713°) | არქიტექტურის / არქეოლოგიური / ქალაქთმშენებლობის (ურბანული) | XVII-XVIII საუკუნეები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5. | | საქიძეების ნასახლარი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაკათხევი GPS კოორდ: 42.446182° 44.582046° 42.446040° 44.582275° 42.445734° 44.581939° 42.445915° 44.581774° | არქიტექტურის / არქეოლოგიური / ქალაქთმშენებლობის (ურბანული) | გვიანი შუა საუკუნეები |
| 6. | | ქარჩაიძეების ნასახლარი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაკათხევი GPS კოორდ: 42.448980° 44.582987° 42.449166° 44.583508° 42.449038° 44.583697° 42.448649° 44.583315° | არქიტექტურის / არქეოლოგიური / | გვიანი შუა საუკუნეები |